საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 13990/01
29/12/2021

13990-01-2-202112291445

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიას

შპს „ჯორჯია მეტალს“
მის: ზესტაფონის მუნიციპალიტეტი, სოფ. არგვეთა

სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2021 წლის 12 დეკემბრის N 13328/01 წერილით გეცნობათ, რომ მიმდინარე წლის 20 იანვარს, 13:00 საათზე, ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფ. ქვედა საქარას ადმინისტრაციული ერთეულის შენობაში დაგეგმილი იყო შპს „ჯორჯია მეტალის“ მეტალურგიული საწარმოს მოწყობისა და ექსპლუატაციის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვა. გზშ-ის ანგარიშის საჯარო განხილვის შესახებ ინფორმაცია თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად განთავსებულ იქნა სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე (იხ. ლინკი - https://mepa.gov.ge/Ge/PublicInformation/33554).

ვინაიდან ,,უქმე დღეების განსაზღვრის შესახებ” საქართველოს მთავრობის 2021 წლის 24 დეკემბრის N608 დადგენილების საფუძველზე, 2022 წლის 3 იანვრიდან 6 იანვრის ჩათვლით დღეები და 8-9 იანვარი განისაზღვრა უქმე დღეებად, დაგეგმილი საჯარო განხილვა 2022 წლის 20 იანვრის ნაცვლად, გაიმართება **2022 წლის 26 იანვარს 13:00 საათზე.** გზშ-ის ანგარიშის საჯარო განხილვის თარიღის ცვლილების შესახებ ინფორმაცია განთავსებული იქნა სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე (იხ. ლინკი: - https://mepa.gov.ge/Ge/PublicInformation/33577).

ამასთან გაცნობებთ, რომ დაგეგმილი საქმიანობის გზშ-ის ანგარიშთან დაკავშირებული წერილობითი შენიშვნებისა და მოსაზრებების წარმოსადგენად სამინისტროს 2021 წლის 12 დეკემბრის N 13328/01 წერილში მითითებული ვადის (2022 წლის 7 თებერვლის ჩათვლით) ნაცვლად, შეგიძლიათ წარუდგინოთ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს **2022 წლის 11 თებერვლის ჩათვლით,** მისამართზე: ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზირი N6, ან ელ. ფოსტის მისამართზე: eia@mepa.gov.ge. (გთხოვთ, შენიშვნების/მოსაზრებების ელ.ფოსტაზე გამოგზავნისას მიუთითოთ შემდეგი ადრესატი: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო).

გზშ-ისადმი დაქვემდებარებულ საქმიანობაზე სკოპინგის ანგარიშისა და გზშ-ის ანგარიშის საჯარო განხილვას უნდა ესწრებოდეს საქმიანობის განმახორციელებელი ან/და კონსულტანტი (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ასევე შესაბამისი მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს წარმომადგენელი. შესაბამისად, გთხოვთ უზრუნველყოთ მუნიციპალიტეტის წარმომადგენლის დასწრება საჯარო განხილვაზე და შესაბამისი კანდიდატურის (საკონტაქტო ინფორმაციის მითითებით) წარმოდგენა სამინისტროში.

ამასთან გთხოვთ, უზრუნველყოთ ზემოაღნიშნული გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვის შესახებ ინფორმაციის განთავსება, როგორც მუნიციპალიტეტის მერიის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს **(სოფ. არგვეთა და სოფ ქვედა საქარა)** საინფორმაციო დაფაზე, ოფიციალურ ვებგვერდსა და ფეისბუქის გვერდზე, აგრეთვე ინფორმაციის გავრცელების დამკვიდრებულ ადგილას (მაგ: ტრანსპორტის გაჩერება, სკოლა, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება, სავაჭრო ცენტრი, ფოსტის ოფისი ან/და საზოგადოებრივი თავშეყრის სხვა ადგილი) და განთავსების დამადასტურებელი დოკუმენტაცია გადმოაგზავნოთ ფოტომასალის სახით.

დანართის სახით, გიგზავნით ინფორმაციას აღნიშნული გზშ-ის ანგარიშის საჯარო განხილვის შესახებ. აგრეთვე გზშ-ის ანგარიშს და შესაბამის დანართებს.

დანართი: ელ. ვერსია

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე